უწმინდესი პატრიარქის კირილეს მილოცვა მორავიჩის ეპისკოპოს ანტონის სამღვდელთმთავრო ქიროტონიის 15 წლისთავთან დაკავშირებით

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოსკოვში არსებული მეტოქიონის წინამძღვარს მორავიჩის ეპისკოპოს ანტონის მღვდელთმთავრად კურთხევის 15 წლისთავი მიულოცა.

მის ყოვლადუსამღვდელოესობას, ყოვლადუსამღვდელოესს ანტონის, მორავიჩის ეპისკოპოსს, მოსკოვში სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქიონის წინამძღვარს

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ!

გულითადად გილოცავთ საეპისკოპოსო ქიროტონიის მე-15 წლისთავს, ასევე – დაბადების დღეს.

დიდი ხნის განმავლობაში თქვენ წარმოადგენთ წმინდა საბას ეკლესიას მოსკოვის საპატრიარქო ტახტთან და მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ რუსეთისა და სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიების ძმური ურთიერთობის განმტკიცებაში. თქვენ ატიურად მონაწილეობთ ქალაქ მოსკოვის სულიერ ცხოვრებაში, ზრუნავთ თქვენდამი რწმუნებული ტაძრის სამრევლო საქმიანობის ყოველმხრივ განვითარებაზე, ცდილობთ **„რჩეულად წარდგინებად წინაშე ღმრთისა, მუშაკად ურცხვნელად, წარმართებად სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა“** (2 ტიმ. 2:15).

ლოცვით ვუსურვებ თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას სულიერ სიმშვიდეს, მტკიცე ჯანმრთელობასა და ღვთის მოუკლებელ წყალობას თქვენს შემდგომ სამწყემსთავრო მოღვაწეობაში.

უფლისმიერი სიყვარულით

+ კირილე,

პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87777/